№ 109 **სახალხო გაზეთი** № 109

პარასკევი, 17 სექტემბერი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა. წელიწ. პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

**სახალხო გაზეთი**

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

**სურათებიანი დამატება**

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე —10 კაპ., სხვა ადგილზედან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. საეჭლდესპურო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ორი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

**ხელის-მომწერთა საყურადღებოდ**

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

გორის საკრებულო ტაძრის მღვდელი **სიმონ იოსების ძე ლაშაური** შვილებით, ქვრივი **ქეთევან ნიკოლოზის ასული ლაშაური**, სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი **ალექსანდრე იოსების ძე სიმონიშვილი** და მღვდლის **დავითისის** ქვრივი **თეკლა იოსების ასული** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 19 სექტემბერს, გორის საკრებულო ღვთის-მშობლის მიძინების ტაძარში გადახდილი იქნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი პირველთა—მეუღლის და დედისა, მეორის—რძლისა, ხოლო უკანასკნელთა უფროსის დის

**ნინა იოსების ასულის ლაშაურის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი სასაფლაოზე წირვის გამოსვლის შემდეგ. (1—67—1)

შაბათს, 18 სექტემბერს 1910 წ. ორმოცი დღის თავზე, ანჩისხატის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ქართველთა ამხანაგობის სტამბის მბეჭდავ განყოფილების უფროსის

**დიმიტრი პავლეს ძე ტატიშვილის**

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ. 1—უ—1

**ქ. ქუთაისში**

**თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის**

**წიგნის მაღაზიაში**

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული **სახელმძღვანელო წიგნები.**

სახალხო სასწავლებლებს, სახალხო ბიბლიოთეკებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10 პროცენტი. ყდაზე გადახდებათ თითო შაური. ვინც ფასდადებით გამოიწერს, მან ბე უნდა გამოგზავნოს. აქვე იმყოფება უმთავრესი საწყობი შემდეგი წიგნებისა:

| | | |
|---|---|---|
| 1. | გუთანი, ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი, შედგენილი ქუთ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. | ფასი 80 კ. |
| 2. | ქართული გრამატიკა ს. ხუნდაძისა | „ 50 „ |
| 3. | ქართული წერის დედანი, ს. დათეშიძისა | „ 20 „ |
| 3. | ბატონ-ყმობა საქართველოში, ალ. ხახანაშვილისა | „ 50 „ |
| 5. | საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა | „ 25 „ |
| 6. | ელისო, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა | „ 10 „ |
| 7. | დედაენის ზოგიერთი სიტყვების განმარტება, პ. ქარაიასი | „ 15 „ |

(25—6.—20)

**დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზე**

„ნ ა კ ა დ უ ლ ი ს" პ რ ე მ ი ა).

შემუშავებული ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში დამზადდება და დაურიგდება პრემიად „ნაკადულის" წლიურ ხელის-მომწერთა რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამიტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას და დაუთმოს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეთონ, რადგან აც რედაქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებს. დაკვეთა 20 ენკენისთვემდე. ღირება გაუგზავნელად 1 მანეთი. (6—უ—3)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ქსენიას ქუჩ. სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ორშ. ყოვ. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ. ორშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურჯი ვ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. ბ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ჭანჭიძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მახვეტაძე გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 1—2 ნახ. ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირ., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

**ხიზანიშვილი გ. ვ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა ქედავათ. საფასურით. (200—6.—279)

**პროვინციაში გაზეთების გამგზავნი**

**ბ ი უ რ ო**

პირველ სექტემბრიდან შესდგა გაზეთების საგზავნი ბიურო, რომელშიაც შედიან გაზეთები: „სახალხო გაზეთი", „საქმე", „ზაკავკაზიე", „ნოვოიე რეჩი" და ჟურნალები „მათრახი და სალამური", „ერი" და „თეატრი და ცხოვრება". ბიუროს მიზანია პროვინციაში ჟურნალ-გაზეთების გავრცელება. აგენტებს **მხოლოდ** ამ ბიუროსაგან შეუძლიანთ დაკვეთა ჟურნალ-გაზეთებისა. ბიუროს გამგეთ არჩეულია ერასტი დავითის ძე გორდელაძე რომლის სახელზედაც უნდა იგზავნებოდეს, როგორც წერილები, აგრეთვე ფული შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, общiй входъ съ нотарiусомъ Мгебровымъ. Эрастiю Давидовичу Горделадзе.

**საჭიროა აგენტი**

პროვინციაში გაზეთების გამავრცელებელ ბიუროსათვის **ძლიერ საჩქაროდ.** საჭიროა გაზეთების გამყიდველი აგენტი შემდეგ ადგილებში: სამტრედიაში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ხონში, ზუგდიდში, აალ-სენაკში, ბაქოში, ელისავეტპოლში (განჯა), ერევანში და ყარსში. წინ და წინ საჭიროა ორი კვირის გაზეთების საფასური ფული. მიმართვა და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ Эриванская площадь, д. Гургенова, общiй входъ съ нотарiусомъ Мгебро ъ, Эрасту Давидовичу Горделадзе.

**ამა წლის 18—26 ენკენისთვემდე**

**დანიშნულია დიდი იაფობა**

**წარსული სავაჭრო წლის ყველა საქონლისა**

**ძმ. ა. და ი. ალშვანგის მაღაზიაში**

**სასახლის ქუჩა, ტელეფონი 477** (2—61—1)

**საზოგადოების წევრთა და განსაკუთრებით კახელ მევენახეთა**

**საყურადღებოდ**

ამით აცხადებს, რომ **„კახეთის"** საზოგადოების საქმეების გაუკეთესების გამო მას საშუალება აქვს კახურ ღვინის მთელი მოსავალი მომხმარებლებზე გაასაღოს შეუჩერებლად დაუხმარებლივ.

საზოგადოების წესდების მე-§ § 4 და თანახმად, მიღებულ ღვინოში პატრონს მიეცემა პირველად ღირებულობის მესამედი, შემდეგაც ორი-მესამედი ორჯერობაზე დაუბრკოლებლად საოპერაციო წლის განმავლობაში. გამგეობა იმედოვნებს, რომ ღვინის მწარმოებელნი აიკილებენ ჩარჩ-მოვაჭრეებს თავიანთ-და სასარგებლოდ და საერთო საქმის გასაძლიერებლად. (10—65—1)

**რ. ა. პორტუგალოვისა**

**ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან**

**დიდ ძალი**

**ქალიბისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები, იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები.**

გაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ხემოხსენებული საქონელი კიდ ვეულად მაქვს საკუთარ მხიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში. ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ხიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—2)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ს. შოშიტაშვილი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ტერ-ნიკოლოზოვი დ. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**მ. გ. ფიოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—440)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20. (0—6.—46)

**ექიმი ვ. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—217)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ქ. შ. წ.-კით. ს. მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი

**ეპისკოპოსის კირიონისა**

„კულტურული გავლენა ივერიისა რუსეთის ისტორიაზე"

ფასი 3 მან. (10—64—1)

**ექიმი გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ხალ.—33)

**ქართული** სექცია ტფილისის სახალხო უნივერსიტეტისა ამით აცხადებს **მუშათა საყურადღებოდ,** რომ ქართ. სექც. სკოლებში 15 სექტემბრიდან დაიწყება სწავლა. სწავლის ფასია სამ თვეში 1 მან. ამ სკოლაში ხუთმეტ წლისაზე პატარა არ მიიღება მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ 7 სექტემბრიდან ყოველ დღე, გარდა უქმე დღეებისა, საღამოს **ექვსიდან შვიდ საათამდე.** იმავ სკოლებში: გოგოლის ქუჩა № 45 ვოგზლის მახლობლად ვერაზე, ოლგისქუჩა № 52, ოლგის საგებიო ინსტიტუტის გვერდით: ავლაბარი, ქალანთარის საქალაქო სკოლაში. (15—უ.—9)

**წ ი გ ნ ე ბ ი ს**

**იაფად გაყიდვა**

15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე დანიშნულია დაკლებულ ფასად წიგნების გაყიდვა:

1. „სურამის ციხე", მეხუთე ახალი გამოცემა მშვენიერად 100 ც. . 10 მ.
2. „არსენას ლექსი, ფერადი სურათებით 100 ც. . . . . 1 20 კ.
3. „ვეფხვის ტყაოსანი", მეოთხე ახალი და სურათებიანი გამოცემა 100 ც. . . . . . . 30 „
4. „დიდოსტატი", დასურათებული მშვენიერს ყდაში . . . . 1 „
5. დიდი „ვეფხვის ტყაოსანი", კარგს ქაღალდზე ფერადი წამლებით დაბეჭ. მშვენ. ყდით 1 „ 50 „
6. ა. ყაზბეგის სრული თხზულება, ბიოგრაფიით, სურათ. და მშვენიერს მკვრივ ყდაში . 3 „ 50 „
7. გ. წინამძღვრიშვილის სრული თხზ. მშვენიერს ყდაში . . . . 1 „ 50 „
8. „ღალატი", მრავალი სურათ. და ავტორის სურათ მშვ. ყდაში 80 „
9. სამხარეულო, სრული მშვ. ყდ. 1 „ 50 „
10. ქვრივებისთვის და მეცნიერებისთვის თავგადასავალი დიტანჯული, მრავალ სურათებით და კარგ ყდით . . . . . 1 „
11. ავქსენტი ცაგარლის თხზ. I და II ტ. . . . . . . . 80 „
12. „საქართველოს გეოგრაფია", ვახუშტისა, სურ. და საქარ. ქარტებით, მშვენიერს ყდით . 1 „
13. „გლეხი-კაცის ისტორია", ერკმან-შატრიანისა, მშვ. ყდით 1 „ 60 „
14. „გლეხი კაცი", გერმანულიდან ი. ბოლქვაძისა ქართ. 60 „

და სხვა მრავალი წიგნები. ვისაც უნდა ბიბლიოთეკა - სამკითხველოებისთვისაც ვკასრეულობით ძლიერ იაფად მეყუჩობით მიიღო ქართული წიგნები.

ადრესი: ტფილისი, მიხაილოვის ქ. N 3. გ. თავართქილაძეს. (6—6—3)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხაკოვის ქ. N 4. სახლი ჯაბაშვილისა (უ)

# ხარქალა

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

უკვე ვიცით, რომ ოდესის არჩევნებზე მემარჯვენეებმა გაიმარჯვეს და ყოვლადმოძღვრე ტოლმაჩოვის მეოხებითა და დახმარებით სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად აირჩიეს ბარონი რენო, მემარჯვენე და ჭეშმარიტი-რუსი. (??)

ასეთმა არჩევნებმა წელი მოსწყვიტა რუსეთის მემარცხენეებს, მაგრამ არც თვით მემარჯვენეები არიან ერთ გუნებაზე. ზოგი ძალზე აღტაცებულია ამ გამარჯვებით და ზოგი კი ამრჩევლებსაც, ამორჩეულსაც და თვით იმ დაწესებულებას, რომლის დეპუტატადაც აირჩიეს ბარონი რენო, მეტი რომ არა ვსთქვათ, მასხარად იგდებს.

ამ არჩევნებს აღტაცებით ეგებება, მაგალითად, „ნოვოე ვრემიას" ცნობილი თანამშრომელი ბ-ნი ა. ს—ნი.

ბარონი რენო სუფთა და პატიოსანი კაცია. ზოლო თუ ოდესის არჩევნებმა ბრძოლის ასეთი ხასიათი მიიღო, ეს, რასაკვირველია, დიდი სიხულელეა, მაგრამ აუცილებელი მოვლენა კი იყო.

კადეტობის სამარცხვინოდ, არიან ისეთი სულიგანები, რომელნიც რეზინის ცხელ-ცხელი მათრახები უფრო მოქმედობს, ვიდრე ჭკუა-დამოძღვრა, რჩევა და დარიგება. ოდესის მემარცხენე ბრბომ იმეულებულ ჰყო ყველანი რუსის კავშირთა წევრებს გახურებული მათრახები გადაეჭირნათ მათთვის. სურათი ოდესის არჩევნებისა ისეთივე არაბუნებრივია, როგორც სურათი ქუჩებში ტყვიის მტყორცნელებით ხალხის გაჟლეტვისა. მაგრამ ეს ორივე სურათი შექმნა იმ ურცხვო, ურჯულო და ბოროტმა კოლლექტიურმა ხელოსანმა, რომელსაც ოდესის სარევოლუციო „სვოლოჩი" ჰქვიან, და რომელიც ასე ეზიზღება რუსულ სულსა და გულს, რუსის ხალხის იდეალს და მისწრაფებებს."

ამას ამბობს 17 ოქტომბრის კავშირის ცენტრალურ კომიტეტის წევრი ბ-ნი ა. ს—სი. ეტყობა, ოქტომბრისტებს ძალზე მარჯვნივ დაუხევიათ. თუ აქამდე სამხედრო-საველე სასამართლოების არსებობას „სამწუხარო აუცილებლობით" ხსნიდნენ და ამითი თავს იმართლებდნენ. ახლა რუსის ხალხის „რეზინები" მოსწონთ და როგორც ხედავთ, მოსწონთ იმიტომ რომ ეს საჭიროა ოდესის სარევოლუციო „სვოლოჩის" ასალაგმავად.

კარგია.

***

მაგრამ გულ-ახდილობით ოქტომბრისტებს ისევ გაზეთი „ზემშჩინა" გულახდილობაც სჯობია.

„ოდესაში ამორჩეული ბარონი რენო წევრია ადგილობრივ „რუსთა ხალხის კავშირისა", პეტერბურგის ძმებმათა საავგეტო კი მას „ზომიერ მემარჯვენეს" უწოდებს. ჩვენ არ გვინდა მკვეკამათოთ პატივცემულ საავგენტოს, მხოლოდ საჭიროდ გავახსენოთ, რომ მემარჯვენეთა დაყოფა „ზომიერებათა და არა ზომიერებად" ურიათა გაზეთების გამოგონილია, საზოგადოების მოსატყუებლად. ყველა მემარჯვენენი ერთი ხარისხისა არიან".

წყრომით ღასქენა გაზეთი „ზემშჩინა", გეგონებათ ვინმე ეცილება ამ სიბრძნეში.

***

„ოოლა, თქვენს საქმეს! ვიტომ თქვენც რამე ჭკვიანურს ამბობთ!" მესძახის „რუსკოე ზნამია" ზემშჩინას.

„თქვენის აზრით რენო იმიტომ იქმნა არჩეული, რომ „მთავრობამ მხარი დაუჭირაო" აჰ! რა მავრაზმელი მჯობინება ყოფილა!... მამ საქმე წარმართულა და ხელ ერთად რამე ღაა საჭირო, რომ ერთიანად გამარჯვებულნი დავრჩეთ. საკმარისია მაგალითად, რომ სოლიდარობითა და ერთი-ერთ რწმენით აღტაცებულმა დებრიგინმა გულში ჩაიკრას მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტი. მაგრამ არა! ამისთანა ლათაიებით ფონს ვერ გახვალთ. ჩვენ დიდი ხანია ჭკუა ვისწავლეთ და თუ რენოს გამარჯვებას ვულოცავთ, ეს მილოცვა,—ახე ვსთქვათ, უფრო პლატონიურია, ვინაიდან რენო იქნება თუ არა-რენო, ტავრიდის მესამე და გინდა ოცდა-მეცამეტე სალაყბო ისევ სალაყბოდ დარჩება და მისგან სახეირო არა გამოვა რა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 სექტემბერი.

**საზღვარ-გარედ**

**სტამბოლი.** სამხედრო სამინისტრომ კრუპპის ქარხანას შეუკვეთა 30,000 ლირის ზარბაზნის ყუმბარები და თოფის პატრონები, ხოლო დეიტშე მუნიონ-ბაფენის ქარხანას — 39,000 ლირის ტყვიის-მფრქვევი ზარბაზნები.

**თავრიზი.** შეიპყრეს ფიდაი ჰუსეინ-ალი, რომელიც სათარ-ხანის თოფხანის გამგე იყო.

**ბერლინი.** ღამით, პოლიციამ კიდევ მიმართა იარაღს, რომ ერთად შეკრებილი 500 კაცი გაეფანტა. ფანჯრებიდან ყვავილის ქოთნები დაუშინეს, პოლიციელები ბრაუნინგს ისროდნენ ფანჯრებში. ღამითვე პოლიციის პრეზიდენტმა ავტომობილით გამოიარა. ვალდ-შტრასზე პოპოლიცია სახლებში შეიჭრა, საიდანაც ყვავ. ქოთნებს ისროდნენ- ერთმა დედაკაცმა ანთებული ლამპა ესროლა პოლიციელებს. აქ შემწყვდეულებმა რევოლვერები დაუშინეს პოლიციელებს. ბევრი შეიპყრეს ღამის განმავლობაში 90 დაიჭრა, მათ შორის 13 მძიმედ. ორი პოლიციელია დაჭრილი. რამდენიმე დუქანი დაანგრიეს და გაძარცვეს.

**ლონდონი.** სამხრეთ უელსის მაღაროის მუშათა კრებაზე უმრავლესობა წინააღმდეგი იყო საერთო გაფიცვისა, თუმცა სასურველად მიიჩნიეს კამბრიის უმუშევართა ფულით დახმარება.

**სარატოგა.** სარატოგას შტატის კონვენტის დროებით თავჯდომარედ რუზველტი აირჩიეს, თუმცა წინედ რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი შერმანი იყო დასახელებული.

**რომში** დღე და ღამეში ხოლერით ავად ვახდა 19; გარდაიცვალა 10.

აჰუფიაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1.

**ფრენა.**

**პეტერბურგი.** ავდრის გამო, ოფიციალურად დანიშნული დღე ფრენისა გადასდვეს. როცა გამოიდარა, სამი საათის შემდეგ, ავიატორები რამდენჯერმე გაფრინდენ. ამ ფრენას ოფიციალური ხასიათი არ ჰქონია და არც ხალხი დასწრებია. კაპიტანმა მაციევიჩმა საათ ნახევრის განმავლობაში 14 ჯერ მოასწრო გაფრენა თან მგზავრებიცა ჰყვანდა. ეფიმოვი ვირმანის ბიპლანით ფრინავდა ოცი წუთის განმავლობაში. ძირს ჩამოფრენის დროს აპარატი გადაუბრუნდა, მიწას დაეხეთქა და სულ დაიმსხვრა. ავიატორი ძალიან დაშავდა. აეროსტატ „კრეჩეტმა" იფრინა 40 წუთის განმავლობაში.

როგორც იუწყებიან, აეროსტატი „ვასილი კრეჩეტი", რომელითაც 13 სექტემბერში პეტერბურგიდან გაფრინდნენ სრედინსკი და პროფ. რინინი, სარატოვში მიფრენილა. მას 25 საათში გაუვლია 1500 ვერსი.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისიას პირველი კრება ჰქონდა. სათათბიროში წარმოდგენილი ხარჯთ აღრიცხვები მომხსენებელთა შორის დაანაწილეს. სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად ამორჩეულ იქმნა განსაკუთრებული მცირე-კომისია. საბიუჯეტო კომისიის წევრთა სხდომას 40-ზე მეტი დაესწრო.

უცნობი ბოროტგანმზრახველნი შეეცადნენ ეგოროვის კანტორის კასის გატეხას. კასსაში 50,000 მ. იყო. კასსა ვერ გატეხეს. მხოლოდ გერბის მარკები და ასი მანათი გაიტაცეს და მიიმალნენ. გამოძიება სწარმოებს.

**სტარიშჩა.** სოფელ კოზლოვში, მიწის თხრის დროს იპოვნეს მეთერთმეტე საუკუნის მძივები და სამაჯურები.

**პეტრაკოვი.** ლოძში სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად არჩეულ იქმნა იმიერ-კასპიის რკინისგზის ბატალიონის სათადარიგო ჯარის-კაცი რუმიკევიჩი, კათოლიკე, პოლონელი, ქარხნის მუშა, პარტიის გარეშე მდგომი, მცირე განათლებისა.

**ვლადიკავკავი.** მთავრობის კომისიამ, რომელსაც მეთაურობს სახელმწიფო საბჭოს წევრი ეკესპარე და რომელსაც მჯელობა ჰქონდა კავკავის ოლქში რკინის გზების გაყვანის შესახებ, სასურველად სცნო პროხლადნაია ყიზლიარის რკინისგზის შტოის გაკეთება მიენდოთ ადგილობრივ მკვიდრთა. ამ მსჯელობას ადმინისტრაციისა და ადგილობრივ მკვიდრთა წარმომადგენლებიც დაესწრნენ. კომისიის წევრნი საქართველოს სამხედრო გზით, ავტომობილებით სად. ყაზბეგში წავიდნენ.

**ეკატერინოსლავი** აუერბახის მაღაროებში გაზი აფეთქდა. დაიწვა ათი მუშა, ექვსი უკვე გარდაიცვალა.

**ტაგანროგი.** ჩეხოვის სახელობაზე განზრახულ ბიბლიოთეკა-მუზეუმის საძირკველი ჩაჰყარეს. ქალაქის საბჭომ კომისია ამოირჩია, რომელიც ჩეხოვის ძეგლისათვის შემოწირულებებს მოგროვებას შეუდგება.

**ვარშავა.** ქალთა უმაღლეს კურსებზე სწავლა დაიწყო. სულ მიღებულია 640 მსმენელი-ქალი მათემატიკურ, ფილოლოგიურ და იურიდიულ ფაკულტეტზე.

**ასხაბადი.** ჩელკენში, ნავთიან ადგილებში, შადრევანმა ამოხეთქა (№ 7). დღე ღამეში ერთი მილიონი წმინდა ნავთი ამოვიდა.

**ბელოსტოკი.** მელეშაში დაიწვა ლიხაჩევის მაუდეულის ქარხანა. ზარალი 100,000 მანეთია.

**ჰელსინგფორსი.** ბეჭდვითი საქმეთა მთავარ გამგეობის განკარგულებით აიკრძალა გაზეთების „ბერლინერ ტაგებლატისა და ფრანკფურტ-ცეიტუნგის" შემოტანა.

**ოდესსა.** ანარხისტთა საქმის გამო სასამართლო პალატამ ორს ხუთ-ხუთი წლის კატორგა გადაუწყვიტა ხოლო სამს გადასახლება. დანარჩენნი გაამართლა.

**ბაქო.** ბიბიეიბათში საშინელის სიძლიერის ქარიშხალმა ნავთის 18 კოშკი გადააბრუნა ქალაქში, სამხედრო უბანში, ზოგიერთ სახლებს სახურავი მოჰგლიჯა.

**ხ ო ლ ე რ ა.**

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 22, მოკვდა 11, ავად არის 477.

## ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **„დროების" რედაქტორის საქმე.** 11 ოქტომბერს ტფ. სასამართლო პალატაში დანიშნულია აწ დახურულ ქართულ ყოველდღიურ გაზეთის „დროების" რედაქტორ ი. აგლაძის საქმე. გაზეთში მოთავსებულ წერილისთვის ბრალს სდებენ სისხლის სამართლის დებულების მე-129 მუხლის ძალით.

✦ **სამართალში მიცემა.** სამართალში მისცეს ნაფიცი ვექილი გ. ბ. გვაზავა და ჟურნალ „ერის" რედაქტორი პ. სურგულაძე, ამ ჟურნალში დაბეჭდილ წერილისათვის, სათაურით „ჩეხია"!

✦ **პოლიტიკურ ტუსაღის გარდაცვალება.** ამ დღეებში სამარის საკატორგო ციხეში ჭლექით გარდაცვლილა პოლიტიკური ტუსაღი ილია სოსელია, რომელსაც შარშან სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა „სენაკის რესპუბლიკის" გამო, ხოლო შემდეგ ჩამოხრჩობა 15 წლის კატორგად შეუცვალეს.

✦ **„606" ტფილისში.** როგორც ვწერდით, 6 სექტემბერს ქალაქის საავადმყოფოში დაწვა და ერლიხის პრეპარატ „606" დაიწყო წამლობა ერთმა ათიანმა კაცმა. ავადმყოფი ამ ჟამად უკვე მორჩა და საავადმყოფოდან გამოეწერა.

✦ **რედაქტორის საქმე.** 13 სექტემბერს ქუთაისში ტფ. სასამართლო პალატის სესიამ ხალხის დაუსწრებლად გაარჩია საქმე კვირეულ ჟურნალ „ფონი"-ს რედაქტორ-გამომცემლის გრ. გიორგაძისა, რომელსაც ბრალს სდებდნენ სისხლის სამართლის სასჯელთა დებულების მე-129 მუხლის ძალით. სასამართლომ რედაქტორს 3 თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა. განაჩენის სისრულეში მოყვანამდე ბრალდებული განთავისუფლებულ იქმნა 200 მან. თავდებით.

✦ **წყალი ფუნიკულერზე.** ტფ. საელექტრონო ფუნიკულერის სააქციონერო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, აქ შემოდგომაზე შეუდგეს წყლის-საყვანის გაკეთებას მამა დავითის მთაზე. წყალს გაიყვანენ ახლო მდებარე წყაროებიდან ფუნიკულერის ზემო სადგურზე. ამ ადგილზევე განზრახულია ბაღის გაშენება.

✦ **რევიზია.** დღეს, 17 სექტემბერს, დანიშნულია ტფ. ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრთა კრება. კომისია განიხილავს ქალაქის გამგეობის 1908 წლის მოქმედების ანგარიშს.

✦ **მფრინავთა კვირა ბაქოში.** მომავალ ოქტომბრის შუა რიცხვებში ბაქოში მფრინავთა კვირა გაიმართება. მოწვეულნი არიან უტოჩკინი, ეფიმოვი და სხვა მფრინავნი.

✦ **ხოლერა ამიერ-კავკასიაში.** ტფილისის გუბერნიაში: 25 აგვისტოდან 11 სექტემბრამდე ხოლერით ავად გახდა 9 კაცი, გარდაიცვალა —4. ქუთაისში: 11 სექტემბერს გარდაიცვალა—1. ყარსში: 13 და 14 სექტემბერს ავად გახდა 3. ყარსის ოლქში (დამატებით): 9, 10 და 11 სექტემბერს ავად გახდა 14, გარდაიცვალა 5. ერევანში: 12 სექტემბერს ავად გახდა 1, გარდაიცვალა —2; დამატებით: 8-დან 11 სექტემბრამდე ავად გახდა 5, გარდაიცვალა—3. განჯის გუბერნიაში: 11 და 12 სექტემბერს ავად გახდა 2, გარდაიცვალა—1; დამატებით: 6 სექტემბერს ავად გახდა 2.

✦ **საიდუმლო სტამბა.** 14 აგვისტოს, სალამოს 10 საათზე, ბაქოს პოლიციის ერთის ასოთ ამწყობის ბინაზე აღმოუჩენია საიდუმლო სტამბა, დიდძალი შრიფტი და მთავრობის საწინააღმდეგო ახლად დაბეჭდილი ფურცლები.

✦ **უპასპორტონი.** 15 სექტემბერს საერთო ჩხრეკა-დაპატიმრების დროს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 91 უპასპორტო.

✦ **ხოლერა ტფილისში.** პოლიციის ცნობით, 15 სექტემბერს ტფილისში ხოლერით ავად გახდა ორი კაცი. მათი გვარები; 1) ანდრია სერგოს ძე გრაჩევი, 38 წლისა და 2) ასად იბრაგიმ ოღლი, 31 წლისა.

✦ **გადასახლებულნი** 14 და 15 სექტემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 3 ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული: 1) არშაკ სარქისის ძე ზალიევი, 2) კარაპეტ სერგოს ძე გასპაროვი და 3) ნიკოლოზ მიხეილის ძე ბერძნიშვილი.

✦ 15 სექტემბერს ქალაქის თავმესაფარში უეცრად გარდაიცვალა არკადი პავლეს ძე პერვოვი.

✦ ტფ. პოლიციმეისტრის განკარგულებით არსდება საგანგებო კომისია, რომელმაც რევიზია უნდა გაუკეთოს ტფილისის ბოქაულების საქმეებს.

✦ ტფ. საგუბერნიო სამმართველომ დაადგინა: სამართალში მისცეს პოლიციელი ივანე ანდრეევი სამსახურის აღსრულების დროს მთვრალობისათვის გადაყენებისათვის.

## დეპეშა

(გ ე რ მ ი)

ღრმად აღშფოთებული ვართ უმადურ მოსწავლეთა მხეცურ საქციელით. გთხოვთ გადასცეთ შეურაცხყოფილს ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა ქართულ გიმნაზიაში მომხდარ სამწუხარო ინციდენტის გამო. დაე შეიგნონ ჩვენის უბედურ საზოგადოების ბნელმა ძალებმა, რომ ასეთი მხეცური მოპყრობა გულწრფელ მოღვაწეთადმი, უღრმეს აღშფოთებას იწვევს ყველა კეთილგონიერ ადამიანში.

დავით ნიჟარაძე, მელქისედეკ ფადავა, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, დავით მიქელაძე, ნიკო თავდგირიძე, ივანე ნიჟარაძე, პავლე ჩხეიძე, დავით წულუკიძე, ილიკო თაყაიშვილი, ბართლომე ბიბინეიშვილი, ევგენი ქუთათელაძე, დავით ჩხეიძე, დიდიმ ჩიკვაიძე, ალექსანდრე ჩხეიძე, სამსონ კილაძე, ვარლამ ზარაბაძე, ალექსანდრე ერისთავი, თეოფილე გიორგობიანი, სილიბისტრო ჩირაქაძე, ბარამ ჭავჭანიძე, დავით ბუაძე, პანდო მიქელაძე, ნიკო მარჯანიშვილი, ბესარიონ მარჯანიშვილი, ნიკოლოზ წერეთელი, დიონისე გალანდარაშვილი, ალექსანდრე საყვარელიძე და ილიკო მაჭავარიანი.

## მოწერილი ამბები

**ს. წესი.** (რაჭა) ამ ათი წლის წინად წესის საზოგადოება და ამბროლაურისა შეერთდა ერთ საზოგადოებათ, მაშინდელი მთავრობის რჩევით რასაკვირველია, შკოლაც დაარსეს, ვითომ შუა ადგილას. შკოლა ამბროლაურისა და წესისათვის შეიქნა აშენებული უხეიროდ ადგილზე. შკოლამდე ორივე სოფლიდან ბავშვებს უნდა გაევლოთ სამი ოთხი ვერსი. ისიც [illegible] დროს. არაბული მერანიც ვერ გაივლის და იგეთი ტალახები დადგებოდა ხოლმე. ქალამნებში თითებ გამოყოფილი გლეხის პაწია ბიჭისთვის კი ასეთი საძნელო გზების თქერა აუტანელი იყო.

ამ რამდენიმე წლის წინად დიდი სხნივრების შემდეგ, როგორც იყო ორი საზოგადოება დაშორდა ერთმანეთს, და თავ თავისთვის სასოფლო სასამართლო დაარსეს. დარჩა შკოლა ისევ იმ უხეირო ადგილზე. წასულ წელს ორივე სოფელმა უმაღლეს მთავრობასთან შუამდგომლობა აღძრა შკოლის გაყოფისა. მთავრობამ ნება დართო გაცალკევებისა. მხოლოდ არსებული შკოლის შენობა აკუთვნა ს. ამბროლაურს, იმ მოსაზრებით, რომ შკოლას ამბროლაურის სახელი ჰქვია და არა წესისა. წესმა ასეთ განკარგულებაზე უარი სტკიცა, ჩვენ მიტომ კი არ გვინდა (ჩვენით) გაყოფა, რომ ჩვენი ოფლით აშენებული შკოლა ამბროლაურს დაუტოვოთო.

ასე იარია შკოლის საქმე და კინაღამ შკოლა უპატრონო დარჩა ძველ ადგილზე.

ამას წინად სვანეთში იყო კავკასიის შკოლების მზრუნველი რუდოლფი. ერთ დღეს მზრუნველი ს. ამბროლაურს ეწვია და ინახულა ძველი სადავო შკოლა. უბრძანა ორივე სოფელს: გასჭრან შუაზე ძველი შკოლა, ნახევარი ამბროლაურმა წაიღოს და ნახევარიც წესმა. ბ. მზრუნველის წასვლის შემდეგ შკოლის შენობა გაჰჭრეს, და როგორც მზრუნველმა ბრძანა, ისე გაყვეს. წესმა იყიდა შკოლისთვის ადგილი და უნდა აშენდეს ახალი შენობა. სასწავლებელი ორ კლასიანი იქნება.

წესმა მოინდომა ამ გვარად საქმეში წინ გაუსწროს მის მეზობელ სოფელ ამბროლაურსა. ამიტომ განიძრახეს ქვითკირის შენობის აგება. ქვითკირის შენობის გაკეთება ითხოვს დიდ ხარჯებს, ამისათვის სოფელმა დაადგინა განაჩენი და სთხოვეს ბ. გუბერნატორს მიეცეთ სესხად სამასი თუმანი იმ თანხიდან, რომელსაც მადაზიის ფული ეწოდება. ჯერჯერობით ბ. გუბერნატორისაგან არაფერი პასუხი არ არის, როგორც ამბობენ ბ. გუბერნატორი დააგ-

## გამოთხოვების უსტარი

უკვე დავმარხე სალოცავი ჩემი ღვთაება,
„აწ განუსვენე" უგალობეთ, ერთად შემოკრბით;
სულ არა ვნაღვლობ, არც თუ ცრემლი გადმოიღვრება,
დაე სხვა მგოსანს მიესალმოს, მე კი... მშვიდობით!

—

ვისთვისა ჰჟღერდი, ჩანგო ჩემო, ესრედ ტრფიალით?
რად ამჟღავნებდი დაფარულსა სულის სიმღერას?
რად დასწვი სიმნი მთრთოლვარენი ციურის ალით,
აბა, მიჰხედე, ვის უტკბობდი საამოდ სმენას!

—

ვაი ჩემს გრძნობას ადრე დანთქმულს, ვაი ჩემს ლაღადს!
ვაი ჩემს ტაძარს ჩამონგრეულს, გაცამტვერებულს!
ტიალს მინდორზე ვუმზერ გათხრილს უდროოდ საფლავს,
მოდით, იქ მნახავთ, გულზვიადნო, სულდაბნელებულს.

—

უკან გაგატანთ თუ ოდესმე რამ მოგიძღვნიათ,
გეტყვით: გამშორდით და ზიზღს მომგვრის თქვენივ ჩივილი;
კვალად შემამკობთ და შემაქებთ ცბიერის ენით...
სასცილოა, თავსა მედგას თქვენგნით გვირგვინი.

—

აშენდა ზღუდე! მსურს თვით ხსოვნაც კი ამოვშალო
და დავივიწყო, რომ ოდესღაც თქვენ გეკუთვნოდით;
უკვე დავმარხე სალოცავი ჩემი ღვთაება,
„აწ განუსვენე" უგალობეთ, ერთად შემოკრბით!

ა. **შანშიაშვილი.**

## სამსონის თმები

**ძღვნად მარსიალ ფუასსის.**

**თ ა ვ ი**

**ა**

სულ მიწყნარდა ქრიამული ქალაქისა.

გოგლო მაინც იჯდა თავის მაგიდასთან და პაწია, გრძლად ჩამოჭრილ ქაღალდის ფარატინზე გამოჰყავდა:

სიტყვები, სიტყვები, სიტყვები!

მწვანე რიდე-ჩამოფარებული ლამპარი ბეჯითის სინათლით უნათებდა მაგიდას.

ღელებულ სარკმლიდან კი, შემოდიოდა ღამის ნელი სიგრილე და სხვაფრივ მყუდრო ოთახი შექმნილიყო საამურ სამყოფელად.

გოგლო სწერდა „ნუ დამივიწყებს".

ტრიალ მინდვრის უსაზღვროებაში, ათას ფერ და ათას გვარ სხვა და სხვა ყვავილებთა შორის ლურჯად გაბნეულიყო „ნუ დამისიწყებ."

იკარგებოდა მისი ფერი სხვა უფრო მყვირალა და ცხადფერებში, მაგრამ თვით ამათი სინაზის მიმკვეთი და მათი სიმკვეთრის გამანელებელი იყო „ნუ დამივიწყებ".

თვით მათ პირდაპირ ვერ მიადგებოდა თქვენი თვალი, მაგრამ მხედველობაში კი მაინც რჩებოდა მისი ფერის ნარნარება და გახსოვდებოდათ: „ნუ დამივიწყებ".

ეს თითქო შენგან უარყოფილ საყვარლის შესაბრალო თვალები იყო, რომელიც ჩუმად, ძლივ-საგრძნობლად, მაგრამ მაინც გახსენებდა: —„ნუ დამივიწყებ"!

ეს თითქო დიდი მინდვრის ჭრელ ქათიბის პაწია მძივები იყო, რომელიც ასხმულიყვნენ ერთ ლურჯ გამოთქმად: „ნუ დამივიწყებ!"

ეს თითქო ციაგი შეღავათდედი იყო, რომელიც შესციმციმებდა შენს თვალებს: „ნუ დამივიწყებ"!

და ასე დაუსრულებლივ.

იგი თვისი სიპატარავით, თვისი ფეროვნებით ლაპარაკობდა, მუსიკობდა და გთხოვდა მხოლოდ ერთს: „ნუ დამივიწყებ"!

გოგლომ თავი აიღო და სადღაც შორს გაიხედა, თუმცა თვალებს ეტყობოდა, რომ შინგნით იყვნენ ჩაღრმავებულნი.

მას თვალ-წინ დაუდგა ცაბულოს თვალები—პატარები, მაგრამ ცოცხალნი და ცხოველნი, ნაზად ღიმღიმარნი და ლურჯად მწუხარენი.

თითქო შეკითხვით შეჰყურებდა გოგლოს:—რადაო?

რა იყო ეს „რად?..." რად არ მითხარი ის მშვენიერი სიტყვა, რომელიც გინდოდა გეთქვა და ვერ გაბედე, თუ რად მომიშხამე შენის ნახვით, შენის გაცნობით ჩემი ახალგაზრდობა?

რა იყო ეს „რად?.." რად იციან ამ კითხვის მოცემა ახალგაზრდებმა? ჯერ თვით უნდათ და შემდეგ რად გეკითხებიან „რადაო?"

ჯერ თვით მიდის პეპელა სანთელზე და შემდეგ შეხრუკულ ფრთებით იკითხება „რადაო?" რად მიდის, რად სანთელზე? ხოლო თუ მიდის შემდეგ რად იკითხება?

მაგრამ სანთელი ეგრე წარმტაცია, სინათლე ეგრე საყვარელი, გათბობა ისე საჭირო. მოურევნელია ეს სურვილი და... ტკრციალებს ფრთები, იხრუკებიან საწყლები.

გამოუცნობელია ეს ჯადოსნური ძალთა-ძალი. ჯერ მიმზიდველი, შემდეგ დამწველი.

თვალები კი მაინც მწუხარედ იღიმება და იკითხება: რად? ან ლურჯად შემოგინიავებს: „ნუ დამივიწყებ!"

გოგლოს გულში გაეცინა.

ხომ არაფერი ეს მართალი არ არის? მისსა და ცაბულოს შუა ხომ სრულიად არაფერი არ არსებობს?!

ეს ხომ მხოლოდ მისი ოცნებაა. მისი ნაგრძნობი.

„სისხლი თამაშობს მოჭარბებული და გულიც მისგან ანაძგერია"...

გოგლოს თვალი მიადგა კედელს.

იქ, ჩამოფარებულ ლამპრის მურუქლო სინათლეში დანტეს სურათი გამოსჩანდა.

დანტე განმარტოებული დასტირის თვით სათაყვანო ბეატრიჩეს, გულს უცხო სევდა ეჭიდება მისთვის ცრემლს-შეუშრობელს. შორიახლოს კი ბოლოს ხეივანში ჰაეროვანი, ახოვანი სახეებით შეკულნი ასულნი გედისებურ მოსცურავენ. დაუნახავთ დანტე და შემდგარან. შეიძლება იმათაც ებადებათ კითხვა—რად? ზოგს ამ ფერიათაგანს თითქო ცხადლივ ეტყობა ეს შეკითხვა.—რად იკლავ თავს შე საბრალოვო!—თითქო ეუბნებიან ისინი დანტეს,—განა ბეატრიჩეს გარდა სხვა არვინ არის? აბა ჩვენც დაგვხედე, ცუდნი ვართ, შეუფერნი? ტყუილად რად იწუხებ თავსა, რად იღვნები ცრემლებად? რად?

—დანტე კი მაინც სტირის. ხელშეუხებელი ბეატრიჩე ათას-წილ მისთვის ძვირფასია, ვიდრე ეს ხორციელნი, ხელ-მოსაკიდნი მშვენიერებანი.

„რად"? თითქო მაინც იკითხებიან ფერიები.

ფერიები!

გოგლოს გაახსენდა „მისები". ნეტარებით იწყო გულმა ტოკვა.

მან სიჩქარით გამოსწია მაგიდის უჯრა და გამოიღო მოგრძოდ ჩამოჭრილი ქაღალდის ფარატინები.

გადაიწყო. მორიგისით შეუდგა გადათვალიერებას.

ეს ტყეა. ტყის ჰიმნი. და თითქო თმა-გაშლილმა, ეშხიანმა კესომ მას თვალ-წინ საცმელ-შემოძარცულმა ჩამოუქროლა. ტყის ფერია.

აგერ მეორე ნაჭერი. მხურვალე, მწველი. ცეცხლის ფერია. წითელი ილიკო, ოქროს ილიკო. ტორსმანებს და ირხევა მისი მოქნილი, ჰკვრივი ტანი, აკოკრებული ძუძუები ნელიად მღელვარებენ.

აგერ კიდევ. გადახედა მაგიდაზე მდებარე ახლად მელან-შეშრობილს მოგრძოდ ჩამოჭრილ ქაღალდის ფარატინებს.

მინდვრის ყვავილია. პატარა და შეუმჩნევი. მაგრამ ლაღად ნაზარდი. ცვრით ნაპკურები. მზის პირველ სხივისაგან პირ-დაბანილი. „ნუ დამივიწყებ" არის ცაბულო.

გოგლოს ნახსოვრობა უფრო გაღრმავდა. უფრო გაიშორია.

წარმოუდგა კლდე.

მაღალი და ქარაფოვანი. ირგვლივ ნაპრალები. ძირს სოფელი. თვალი ძლივს უწვდენს.

ნაპრალებს იქა-აქ მუქ ზოლად ნისლი გასწოლია.

შემოუფარგლავი სივრცე ირგვლივ და კლდე-მაღალი, ქარაფოვანი შეურყევლად დგას ამ სივრცეში ამაყად მზერი, ზვავი, ზვიადი. ქექა-ქუხილი გადაზუზუნებს მის ამაყ თავსა და წვიმის თქეში ურეცხს გულ-ღვიძლს, მის მქიდრო ქვებს, მაგრამ მაინც შეუპოვრად დგას, ვით უსწორო ფალავანი დედამიწისა.

გოგლოს ამ კლდეზე მდგომს მაშინ გაახსენდა ნარო ახოვანი. ამ კლდესავით მკიდრო სხეულის.

ეს იყო ტანი ჩამოსხმული, ვით ქანდაკება და მიწის ფერი, ხორბლის ფერი სახის, თმებისაც, თვითონ თვალებიც სპილენძური მონუმენტალურ ნაკვთად ქმნიდა ამ უცხო ქალს.

ნაროს.

გოგლოს გაახსენდა ეს მეოთხეც.

გაახსენდა თვისი „კლდესთან საუბარი".

არც ეს ნაგრძნობი დარჩენია აღუნიშვნელად.

ეს უკვე მთელი კოლექცია იყო ფერიებისა.

და მთელი კოლექცია მის შემოქმედებათა.

რაღაც ნეტარება იგრძნო გოგლომ. მთელი მისი ცხოვრება ერთ დიდ—მშვენიერებად მოეჩვენა და კმაყოფილიმა ოთახში მიუბუქას, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით გაიარ-გამოიარა.

**თ ა ვ ი.**

**ბ.**

გადაჭიმულა უშველებელი, თვალუწვდენი სივრცე ლურჯი ფერისა.

უსწორ-მასწორო, ჩაკბილული.

თვალს რომ გადაავლებ, უზარმაზარი ზურმუხტია გაუთლელი, გაუწმენდელი.

ახლოს რომ დახედავ, ტორტმანებს და ნელა ჩქროლავს.

ზღვაა იგი ღრმა და ძლიერი. დაუდგრომელი, ცვალებადი, ხელთ დაუჭერი.

ზევით ლურჯია. შიგ რომ ჩახედავ—ხან ჩაბნელდება, ხან კი სარკესავით განიწმინდება. რომ ამოიღებ—რუხი ფერი აქვს.

დღეს მშვიდად არის და ნელ დგას, ზოზინებს, თითქო დიდ ვეშაპს და-

მაღ-ვილებს გლეხების კანონიერ თხოვნას. **რაჭველი შურდული.**

---

**დ. ონი.** 20 აგვისტოს დ. ხონში ერთი არა ჩვეულებრივი ამბავი მოხდა. ხაზინიდან გამოიტანა სტრაჟნიკების ჯამაგირი უფროსმა ურიადნიკმა, და დაურიგა იმში მოსამსახურე სტრაჟნიკებს. დარჩა 700 მანეთი, ქვემო რაჭაში სტრაჟნიკების დასარიგებლი. ეს ფული ურიადნიკს ჩაუდო იქვე მაგიდის უჯრაში. ფულის შენახვის შემდეგ გაიარა რამდენიმე საათმა, ურიადნიკმა უჯრა გამოაღო და ნახეთ საკვირველება, 700 მანეთი სადღაც გამქრალიყო. ურიადნიკი დატუსაღეს, გამოძიება სწარმოებს. **რ. შ**

---

**დ. ბორჯომი.** ამ ბოლო დროს აქ გახშირდა ქურდობა, ყაჩაღობა და კაცის კვლა. ისე დღე არ გავლის, რომ რაიმე ბოროტმოქმედება არ მოხდეს. მაგალითად, 28 აგვისტოს მიაჭრნენ მოგზაურთ და ჩაუმტვრიეს სარკმელი, 29-ს გასტეხეს დუქანი და გაიტაცეს 47 მან. 35 კაპ., 31-ს შეიპარნენ ს. უ—ნის სახლში, დაახლოვებით სადამოს 7 საათზედ, გატეხეს „ჯამადი", საიდგანაც გაიტაცეს 143 მან. ფულად და ოქროს 40 მან. ღირებული საათი და რომ დროზე არ შეეტყოთ, სახლს სულ გაძარცვავდნენ. ამ უკანასკნელ ბოროტ-მოქმედების ჩადენის დროს იცნეს ერთი,—გ. უაგულაშვილი, დაზარალებულის მოახლოვნით იმავ ღამეს შეიპყრეს გ. უაგულაშვილი, მაგრამ ისევ მალე გაანთავისუფლეს, აქ კარგად იცნობენ, განცა არიან ეს თავზე ხელ აღებულნი, მაგრამ სდუმს საზოგადოება, უმოქმედობას ზიდავს. **ყოფილი.**

# გაკვრით

(ჟურნალ «მათრახის და სალამ.» თანამშრომელთა და მკითხველთა გასაგონად).

როგორც ცხოვრებაში, ეგრეთვე, განსაკუთრებით, ლიტერატურაში, კაირგია, მკითხველო, და მეტად საჭიროველი მოსწრებული სიტყვა. მიუდგომელი და თავის დროზე ნახმარი მკვეთრი სარკაზმი, მარილიანი იუმორი, რადგანაც, მახვილი დაცინვის კილოთი ნაკლულევანება-სიბეცის მხილება, დიდ გავლენას ჰპოულობს და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის.

ასეთ იუმორისტებად, რომელთაც დიდი სამსახური მიუძღვის თავიანთ ქვეყნის წინაშე, ითვლებიან, სხვათა შორის, გამოჩენილი მწერლები, რუსეთისა: გოგოლი, სალტიკოვ-სჩედრინი, ჩეხოვი; ამერიკელი—მარკ-ტვენი და მრავალი სხ. ასეთსავე როლს თამაშობს პრესსაში ღირსეულად დაყენებული იუმორისტული ორგანო, რომელიც არა პირადი სიმპატია-ანტიპატიად, არამედ ობიექტიურად და მიუდგომლად იხილავს ამა თუ იმ საზოგადო მოვლენას, ამა თუ იმ პირის მოქმედებას...

ჩვენშიაც არსებობს ერთი ასეთი ორგანო; ჩვენს პრესსაშიაც დარჩა ბურთი და მოედანი ერთ იუმორისტულ ჟურნალ „მათრახს და სალამურს", რომელიც ეკუთვნის ერთ მიმართულების მიმდევართ, და უკანასკნელიც ფართოდ და ხშირად ბოროტად სარგებლობენ ამ გარემოებით. ჩვენში ხომ არა იშვიათია პირად ანგარიშების გასწორება პრესის საშუალებით. თუ ვისიმე ჯავრი გვჭირს და უბრალო ქინის დაკმაყოფილება, გულის მოფხანვა გვწადია, ვისდა ახსოვს წმინდა დანიშნულება პრესსისა, რომელსაც არა იშვიათად ხელის-საწმენდ ტილოდ იხდიან!

ისეთები არიან აღნიშნულ ორგანოს ზოგიერთი თანამშრომლებიც: ღმერთმა დაგიფაროთ, თუ მათ წინააღდეგ, ქების გარდა, წამოგცდათ რამ, გინდ ეს პიტალო ჭეშმარიტებაც იყოს, თუ პრინციპიალური პასუხი ვერაფერი გამოგიძებნეს, (შერჩენით როგორ შეირჩენ!) მოჰყვებიან, ბატონო, როგორც მაძებარ პოლიციის კარგი... აგენტები იმის გამოძიებას,—შენ თუ არა, შენის პაპის-პაპის ნათლულის ბიძაშვილს იქნება ოდესმე რამე ცოდო ჩაუდენია, რომ შენ წამოგაყვედრონ და თუ ვერც ეს გიშოვნეს, იმაზედ ადვილი რა არის: მოგაწერენ რამე უცნაურ ამბავს, დაგაყრიან უგემურ დაცინვას და ყველა ამას იუმორის სახელით ასაღებენ.

ამის მაგალითებს აღნიშნულ ჟურნალის თითქმის ყოველ ნომერში შეხვდებით და ჩვენ აქ გვწადია ზემოდ ნათქვამის დამადასტურებელი კიდევ ერთი ცოცხალი მაგალითი მოვახსენოთ მკითხველს. აღნიშნულ მიმართულების წარმომადგენლებმა და უმთავრესად ჟურ. „მათრახის" თანამშრომლებმა, ამ თვის ოთხში, გამართეს სალიტერატურო სადამო, ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში. სადამოს, მაინც და მაინც, არა უშავდა რა და საზოგადოებაც საერთოდ კმაყოფილი დარჩა, მაგრამ ყველა იქ დამსწრეთაგანი აშკარად ხედავდა, რომ სადამო მეტად ერთბერივი, ერთფეროვანი იყო: თითქმის ერთს და იმავე თემაზედ და პროგრამით ტენდენციურის ნაძალადევად დაწერილი ლექსები და მოთხრობები იქმნა წაკითხული. რაც, შეიძლება ძალიან მოსწონდა ქანდარას, მაგრამ ეხამუშებოდა მიუდგომელ და ცოტათიც არის ესტეტიურად განვითარებულ კაცის სმენას.

მე, როგორც გაზ. „Новая Рѣчь"-ის წარმომადგენელი, დავესწარი ამ სადამოს და ამ გაზ. № 202-ში მოვათავსე ყოვლად მიუდგომელი, პირუთვნელი რეცენზია: ვინც თავი ისახელა და საზოგადოებასაც მოეწონა, ვაქეთ მაგრამ, ამასთანავე, აღვნიშნეთ ზოგიერთ მონაწილეთა ნაკლთან ერთად, აგრეთვე ამ სადამოს ტენდენციური, ერთმხრივი ხასიათი.

და აბა ესრეთ „დანაშაულობას" როგორ გვაპატიებდნენ ოდესღაც თვითმპყრობელობას ჩვეულნი და განსაკუთრებით ის პირნი, რომელნიც ქება-დიდების მაგიერ, კარგად ვერ მოვიხსენიეთ...

პირდაპირ რეცენზენტისათვის პასუხის გაცემა და თავის მართლება, ცოტა არ იყოს უხერხულად უცვნიათ და ხრიკი უხმარიათ: აულიათ და უშველებელი უკბილო დაცინვის წერილი უძღვნიათ ჟურნალ „მათრახში და სალამურში".

ამ წერილში თავისებური დაცინვაა, როგორც მთელ გაზ. „Н. Р." თანამშრომლების მიმართ, აგრეთვე, რასაკვირველია, განსაკუთრებული ყურადღების ღირსი გავხდარვარ მე, თქვენი უმორჩილესი მონა.

მერმე, ნეტავი რას გვიკიჟინებენ:

... „თქვენ უნდა იცოდეთ—სწერენ ისინი გასულ კვირის № 29 „მათრ. და სალ."-ში—გ. ახალციხელის სულის კვეთება, **ის ფრჩხილებიანათ** ნაციონალისტიაო" (ღმერთო-კი შემინდე! რა ცოდვილი ვყოფილვარ!) ამიტომაცაო, განაგრძობს გაზეთი „მაგის (ე. ი. ჩემი) სამსახური სამშობლოს წინაშე დათვურია: ეგ რუსულათ სთარგმნის და მკითხველ საზოგადოებას აცნობს ქართველ მწერლების უმნიშვნელო ნაწარმოებით. მას არა სურს, რომ ჩვენი ქართველი მწერლების საუკეთესო ნაწარმოები მსოფლიო კუთვნილებად გახდეს, (!) ეს ხომ ინტერნაციონალისტობა (?!) იქმნებოდა. უმნიშვნელო ნაწარმოებს კი არც არავინ მიიტანება და არც საქვეყნოთ გამოიტანენო"... (ერთი ლოღიკასა და „იუმორს" დამიხედეთ..)

ჯერ ერთი მკითხველს უკედ მოეხსენება, რომ ყოველ-დღიურ გაზეთისათვის დიდი რომანებისა და მოთხრობების თარგმნა უადგილობისა გამო მოუხერხებელია, და ამიტომ ჩვენ ახალგაზრდა ბელლეტრისტების პატარა მოთხრობებიდან ვარჩევდით და ვარჩევთ საუკეთესოების (გარწმუნებთ, ბ-ნებო, რომ თქვენზედ არა ნაკლებად ვიცნობთ ჩვენ ლიტერატურას).

ვსთქვათ, რომ ეშმაკ—ქაჯთაგან ათვალისწუნებული ქართველ მწერალთა უმრავლესობის ნაწარმოებნი უმნიშვნელონი არიან, მაგრამ. რითია „უმნიშვნელო" თუნდა მაგალითად, ეგ. ნინოშვილი, რომლის ნაწარმოებიც, სხვათა შორის, გადავთარგმნეთ? მაგრამ ისე არიან ეს ვაჟ-ბატონები გატაცებულნი თავისის კერძოობით, რომ არამც თუ ქართველ მეორე ჯგუფის მწერლებში არა ხედავენ ღირსებას, თვით თავისი მოამაგეც კი ავიწყდებათ.

აი, სწორედ ასეთი მათი ვიწრო ტენდენციოზობა აღვნიშნეთ ჩვენ წერილში და მართალ სიტყვას ასე აუღელვებია ეს „ბარის შვილნი" რომ აღარ იციან რას მიეთ-მოეთობენ.

რაც შეეხება კერძოდ ჩემ გაქირდვას, ჩემს სულსა და გულში ხელის ფათურს—ეს იმდენად უკბილო, უგერგილო და უპატიოსნო ოხუნჯობასაქციელად მიმაჩნია, რომ პასუხის ღირსადაც არა ვსთვლი. დაე, რამდენიც უნდა იოხუნჯონ თავისიანების სართველად, მხოლოდ ნუ დაივიწყებენ რომ ჟურნალი, ბეჭდვითი სიტყვა—სალაყბო არ არის და შესმენილი ქართველი მკითხველი ერთხელაც იქნება პასუხს მოსთხოვს ამ ყოველივე ლიტერატურულ ზრდილობა—ღირსებას მოკლებულ მოლაყბეთ.

ბ—ნებო, თუ სხვას არაფრად აგდებთ, თქვენ თავს მაინც დასდეთ პატივი და თქვენი ბანაკის ხალხი მაინც შეიბრალეთ! რად ურყვნით ლიტერატურულ გემოვნებას და ან რად აბეზღებთ და ლანძღავთ ისეთებს, ვისაც თქვენზე მეტად უყვართ და სწამთ ხალხის ხალხის ნამდვილი ქერისუფლები! სირცხვილი და უტიფრობაა თქვენის მხრივ სხვა რომ არა იყოს რა!

დასასრულ, ჩემ გამკიცხველს თავისი ნამდვილი ვინაობა რომ გამოეცხადებინა და ირემივით ბუჩქებისათვის თავი არ შეეფარებინა, მკით ხველი თვითვე დააფასებდა დიდებულ იუმორისტის გულ-ღვარძლიანობას და იქნება ყველა მისი მსგავსების მხილებაც აღარ დაგვჭირვებოდა...

**გ. ახალციხელი.**

## თეატრი და ხელოვნება

**დ. ჭიათურა.** კვირას, 12 სექტემბერს, ქ-ნ ურბნელის მონაწილეობით წარმოადგინეს აკაკი წერეთლის სამმოქმედებიანი კომედია „კინტო". საუცხოვოდ ასრულებდა ქ-ნი ურბნელი სალომეს როლს, უმეტესად მეორე მოქმედებაში, როდესაც კინტოურ ტანისამოსით მოევლინება მოქეიფე კინტოებს.

კარგი იყო აბტალიძე ქმრის როლში. კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი ნუცუბიძე.

დანარჩენ მოთამაშეთა უმრავლესობამ როლები არ იცოდა.

როგორც გამოგვიცხადეს, მ. კვირას, ნ. ჩხეიძის მონაწილ. ბ. გამართული იქნება საბენეფისო წარმოდგენა ბარველისა, „სტუმარი" და „ადამ და ევა". ამ წარმოდგენაში უკანასკნელად თამაშობენ ბარველი, აბტალიძე და ქ-ნ დეისაძე. ესენი ქუთაისში არიან მიწვეულნი წრევანდელ სეზონში. იმედია საზოგადოება დააფასებს მათ შრომას ჰიათურის სცენაზე და მომავალ წარმოდგენას ბლომად დაესწრობა. **მლაშელი.**

## უცხოეთი

**ეგვიპტელები ავტონომიას თხოულობენ.**

საფრანგეთის მიერ პარიზიდან გაძევებული ახალგაზრდა ეგვიპტელები, რომელთაც კონგრესი უნდა მოეხდინათ, ბელგის მთავრობამ შეიხიზნა და ქალაქ ბრიუსელში ნება დართო კონგრესის გამართვისა. კონგრესი უპირველესად განიხილავს ეგვიპტის ავტონომიის საკითხს და გამოარკვევს, რა გზით გაანთავისუფლონ თავისი სამშობლო ინგლისის ბატონობისაგან.

**საბერძნეთის ეროვნული კრება.**

როგორც ვიცით, საბერძნეთის სატახტო ქალაქ ათინაში ამჟამად ეროვნული კრებაა მოწვეული. ამ კრებაზე პირველსავე დღეს დიდი განხეთქილება მოხდა. რევიზიონისტებმა წინადადება მისცეს ყველა დეპუტატებს ფიცი დაედოთ, რომ კრება არ შეეხება საბერძნეთის კონსტიტუციის ძირითად კანონებსაო.

სხვა დეპუტატები, რომელთაც განზრახვა აქვთ ეს კრება დამფუძნებელ კრებად გამოაცხადონ, წინააღუდგნენ ამ წინადადებას. ამის გამო დრაგუმისმა განაცხადა, თუ ფიცს არ მიიღებთ კაბინეტი გადადგებაო.

ამ მუქარამ გავლენა მოახდინა კრების წევრებზე და კრება ვენიზელოსისა და ტეოტოკისის ჩამოსვლამდე გადასდეს.

**მოსალოდნელი არეულობა ინგლისში.**

ლონდონში მომხდარმა ტრედ-უნიონების კონგრესმა დაადგინა ებრძოლოს „ოსბორის გადაწყვეტილებას", რომელიც მუშებს უკრძალავს პარტიის დეპუტატთა დასახმარებლად განსაკუთრებულ ფონდის შედგენას.

ასეთმა დადგენილებამ დიდი გულისწყრომა გამოიწვია ინგლისის მუშათა წრეებში.

ქუჩებში დიდი მიტინგები იმართება. მოუწოდებენ უკუაგდონ ტრედ-უნიონის დადგენილება და სარევოლიუციო მოძრაობას შეუდგნენ.

საქმე ისეა გამწვავებული, რომ საკმაო პარტიის რომელიმე ლიდერი დაატუსაღონ, რომ დიდი არეულობა მოხდეს.

საჩქაროდ საგანგებო კონფერენცია მოახდინეს. კონფერენციამ შეუთვალა პრემიერ ასკვიტს, ლიბერალურ კაბინეტის წინააღმდეგ გავილაშქრებთო.

თუ კონფერენციის დადგენილებამ ღელდა ვერ გაიტანა, განზრახულია მედგარი იერიში მიიტანონ საპარლამენტო ახალ არჩევნებზე.

**რუსის სტუდენტების დევნა.**

როგორც ვენიდან იუწყებიან, ვენის უნივერსიტეტში წელს საექიმო ფაკულტეტზე რუსის სტუდენტებს აღარ მიიღებენ. მიზეზად ადგილის უქონლობას ასახელებენ.

**რომის პაპი არა სცხრება.**

20 სექტემბერს (ახ. სტ.) ქ. რომში ჩვეულებრივი დღესასწაული იყო. იდღესასწაულეს იტალიის გაერთიანების ორმოცი წლის თავი და ქ. რომის გადასვლა მეფის ხელში.

რომის სინდიკმა ნატანმა სიტყვა წარმოსთქვა, სადაც აღიარა, რომ ქალაქ რომის გარეთად იტალიის გაერთიანება შეუძლებელიაო.

ეს სიტყვა დაიხვია პაპმა ხელზე და რომის ქორეპისკოპოზს, კარდინალ რესპიგის ეპისტოლე გაუგ-

---

ძინია და მზის ჩამავალ, ტკბილ სხივებზე ნელა სუნთქავსო.

კიდეებს კიდევ მაინც აბნევს თეთრ მარგალიტს და ზოგჯერ მეკვრე ტალღა თითქო ხუმრობით, მაგრამ მაინც კარგა მტკიცედ ეხეთქება ყრუ ძირსა.

გაწოლილა, გადალურჯებულა და ვითომც აქ არაფერი.

დასრიალებენ მარჯვე ნავები მის წყნარ ზურგზე. დინჯად მოაპობს დამშვიდებულ ზვირთებს ცეცხლის გემი. იალქნიანი ხომალდებიც მოიჩქარიან.

თვალი იკარგება, თვალი განცხრება უსაზღვროებით.

მხოლოდ სადღაც შორს ძლივსღა ამჩნევ თითქო საზღვარს ცისა და ზღვისას, რომელიც მუქ, ბუნდოვან რკალად შემოვლებია ჰორიზონტსა.

რა ფერებია!

ჩამავალი მზე, ნელად მიქროლავი ზღვის ზედა-პირი.

ბეწვის ყალამი თვით ამ მზის შუქში და ამ ზღვის პირში უნდა იყოს ამოწებული, რომ ვადმოსცეს ეს მიუწვდომელი შეთხზულობა ფერთა ქანისა თუ ფერთა ჰარმონიისა.

მართლაც ვერ გაარჩევთ ეს ახირებული ქინია ბუნების, თითქო ჩვენ მხატვართა გამოსაჯავრებლადა, რომ ესე ათას-ცვარ ცვლის თავის შეზავებულობას, თუ მართლა დიდებული მწყობრი და გარდუვალი ჰარმონია მიუწვდომელისა.

დიადი კია, დამპყრობი კია, დამმორჩილებელი.

ეხლა მშვიდია, სტკბება მისი მშვენიერებით, მაგრამ მაინც გეშინია. „ვერ ენდობი კარამდის".

ცვალებადია, როგორც ზღვაო, ვის არ გაუგონია!

...რომ მოგიგდებს თავის ფაფარზე, რაც უნდა დიდ გემზე იჯდე, გადაგისვრის ნაფოტივით, შეგმუსრავს საბრალოსა.

იმდენად დიადია, იმდენად უზარმაზარია მისი გულ-მკერდი, იმდენად ღრმაა მისი ბუნება და მისი ძირი.

რას გაუგებ ასავალ-გასავალსა!

რა იცი რა ძალი მქუხარებს მის შუა-გულში! რა ამოძრავებს, რა აბორგებს, რისთვის ბობოქრობს.

ან ეხლა რად არის მშვიდად, რისთვის დაუსვენებია?

უეცრად ჩაინთქა მზე ზღვისაგან. თითქო ჩაიყლაპაო.

თავის პატარა შებრუნება და მზე აღარ იყო.

ისე ჩასრიალდა, როგორც მოლესილი და გაფერილი ხმალი თავის ქარქაშში.

ახლა კი სულ სხვა ფერი გადაედო ზღვის ზედა-პირს. ბნელ-ნათელი, მოლაჟვარდო-რუხი.

რაღაც ბუტბუტი შექმნეს ზვირთებმა.

არ იყო საშიშარი.

რაღასაც მოყვრულად უბოხსხმავებდა, მაგრამ მოდით და ენდეთ ამ ქალივით ცბიერს და ქაჯივით დაუნდობელს, გამოუცნობელს ზღვასა.

გოგლო იჯდა, გასცქეროდა მის სივრცეს და ნეტარებდა.

მისი თვალები ხარბად სნთქავდენ ამ ფერების უცხო ცვლილებათა.

ისინი საკვირველ რიტმიულად ხმაურობდენ მის გრძნობაში და უცხო მუსიკის ბანდულს ქსოვდნენ მის წარმოდგენაში.

სულ სხვა და სხვა გვარ ელერდნენ: ეს ფერები.

ეგრე წამოჰკვიმბული მარგალიტი, ცოტა მონიგრული. არა, მარგალიტი კი არა ყოფილა, ეს რომელიღაც ზვირთი აიკეცა ზღვისა და გამოუცნობელის ცვალებადობის ძალით დაემზგავსა სადაფს.

ეგერ კიდევ ხოტება ქავლი და ივერცხლისფერებს თავის თავსა.

თითქო უცხო ქსოვილს, ლურჯად ნაკერს, ფარჩის საბანს იხურავს საძილოდ განმზადილი ზღვაო.

მაგრამ კარგად იცის გოგლომ, რომ ზღვას ძილი არა სჩვევია. მან იცის მხოლოდ განსვენება, დამშვიდება და გარინდება.

და ეს სიჩუმე, დუმილი ზღვისა ხან-დაზმით არის, დროებითი.

პატარა „აგიტატორები" ქავლი და ზვირთები არ ისვენებენ. დაძვრებიან, თავს ევლებიან, შიგ შუაგულ სიღრმეში ყურყუმელაობენ და დიდ ტალღებს ამზადებენ. ბრძოლად იწვევენ ვეშაპს, საომარ ფეხზე აყენებენ.

რა ამოძრავებთ მათ? რა არ ასვენებთ? რად არიან ესე დაუდგრომელნი?—ეს საიდუმლო ბუნებისა და ცხოვრებისა.

კარგად ახსოვს გოგლოს ამავე ზღვის პირას, ნახული სურათი.

ცოტა ღრუბლიანი დილა იყო.

ზღვაც ამღვრეული.

ლურჯი და სისფი ფერი ერთი მეორეს შერეოდნენ და თავიანთი ჰქილით ზღვა აეპარგებინათ.

ერთგან თვით ზღვის ტალღას თითქო ლურჯი „კოდმე" გაეკეთებინა და იქიდან, როგორც მძლავრ ჩანჩქერი ისე ესხმებოდა მის დაბლობსა, თითქო იქ ჯებირი იყო რამე გაკეთებული და ზედ გადმოქუხდენ დაკბილული მძლავრი ნაკადულები.

მაგრამ აგერ თვით მიწის კიდეს, ხმელ ნაპირს სრულიად გაეცალა და გაშორდა რამოდენიმე ალაჯზე ზღვის წყალი.

ომის წინად მოსპო ზღვამ თვისი დამოკიდებულება ხმელეთის საზრძანებელთან და თავისი წარმომადგენლები გაიყვანა.

მშრალზე დასტოვა.

მაგრამ აი შორიდან წამოვიდნენ ცქრიალ-წვანწკარით პატარა ზვირთები.

ისეთის სიხარულით მოჩქროლავდნენ, ისე ეხვეოდნენ ერთი მეორეში და ზოგჯერ ისე გამოაციმციმებდნენ პატარა, მძიმებივით რგვალ, მოვერცხლულ ცბიერ თვალებს, თითქო დიდად საამური ამბავი მოჰქონდათ.

მოვიდნენ, ნაზად შემოგორდნენ ნაპირის კალთებზე და შემდეგ ისე იდუმალად გაიძურწნენ, გაიბნენ და გაიშალნენ, რომ ვერც კი იფიქრებდით იყვნენ აქ თუ არა. მხოლოდ სისოვლე კი დასტოვეს ქვიშაზე, თითქო ამბავი დაადეს; „იქმნებაო!"

კიდევ წამოვიდა, გადმოგორდა, გადმოიშალა. ეს უკვე პირველი რაზმი იყო ხელოვანის სარდალისა. მოიტანეს პატარა იერიში, მაგრამ ისევ „მწყობრად უკან დაიხიეს".

გოგლოს წარბების წვერი დაუსველდა.

ცოტა უკან დაიხია, მაგრამ ადგილს მაინც ვერ გაშორდა.

მოვიდა მეორე რაზმი უფრო ძლიერი, უფრო მედგარი. მას მოყვა მესამე, მეოთხე საკვირველის თანდათანობით და გაჩქარებით.

ამ წყლის ყუმბარათა სროლამ უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღო.

ხოლო ყოველი ესეთი ტალღა იპყრობდა უფრო მეტს და უფრო ფართო სივრცეს ხმელეთისას.

გოგლო თანდათან უკან იხეოდა.

მაგრამ აგერ ეს რა წამოვიდა?

რაღაც უცნაურმა გრიგალმა გადაურბინა არე-მარეს.

იქვე მდგომ ნაძვის ხეს რომ არ მოხვეოდა გოგლო, ვინ იცის საით არ გაიტაცებდა ეს გიჟი და დამთხვეული ძალი.

ღრუბლები, შავი და სქელი, ჩამოქურუხებული, როგორც ზღაპრულ დევების წარბები შეიძრნენ და ერთი-მეორისაკენ გაეშურნენ.

თითქო სათათბიროდ იკრიბებიან ომის გარემდგომი სახელმწიფოები და არჩევენ მათაც მიიღონ მონაწილეობა ზღვის უშველებელს ამბოხებაში თუ თავისთვის მშვიდათ იყვნენ და უცქირონ სანახავსაო.

მაგრამ ეტყობოდათ ომის სურვილმა ისინიც შეიპყრო,

მათმა ლურჯ-წითელმა მახვილმა საზაროდ გაიელვა სამყაროში და რამოდენიმე ჭექა-ქუხილის ზარბაზანი მათაც დასცალეს.

— ვაჰ, რა მშვენიერია!

გულიდან ამოხდა გოგლოს.

ზღვაზე კი შავი წერტილი შეკუმშდა ბურთად და წამოგორდა გოგლოსაკენ.

მაგრამ ეს ბურთი კი არ იყო, სპილოს ოდენი რაღაც იყო, ხომალდის ოდენი, მთის ოდენი.

მთაა?

დიაღ მთა.

მთა იყო, მთა წყლის მოტორტმანე, ამღვრეულ ტალღათაგან შემდგარი, უზარმაზარი, თვალ-უწვდენი.

გოგლო უკვე სამშვიდობოს იყო, როდესაც ეს საშინელი სიმძიმე და ძლიერება დაეხეთქა დედა-მიწას და რამოდენიმე ფარსანგი ადგილი შეტბორა სრულად.

— უუჰ!

თითქო ერთ ვისმე უზარმაზარ გოლიათს აღმოხდაო მკერდიდან.

უკან „მწყობრად მიმავალი" ზვირთები კი თავიანთებურად ხითხითებდნენ, კისკისებდენ და ისრე ბრუნდებოდნენ თვის ბანაკში.

ეს სულ მათი ოინები იყო, ამ მოუსვენრებისა.

გოგლოს გაახსენდა ვიქტორ ჰიუგო. მისი „ზღვის მუშაკნი". რა დიდებულად აწერილი აქვს ზღვა.

გაახსენდა მაქსიმ გორკი, კნუტ ჰამსუნი, ზღვის ბატონები.

და სიხარბემ გულს რეჩხი უყო.

ზღვა მაინც შფოთავდა, ბორგავდა და მძინვარებდა.

ეს რაღაც საარაკო ცეკვა იყო ბუნების სტიქიონისა, რომელსაც ეგრე ბორკილებით შორს დასდგომოდნენ შავი ღრუბლები.

ადამიანი კი რა იყო მასთან?—სულ უმწეო რაღაც.

მაგრამ ადამიანურმა მზაკვრობამ გოგლოს გულსაც შეუღიტინა:

— ზეთი რომ ამშვიდებს ამ უზარმაზარს! ზეთი. ერბო.

— ჰმ...

ჩაიცინა გოგლომ და გაახსენდა ბრბო, სტიქიონი ხალხის ამბოხებისა.

— იქაც ზეთი, ერბო... ბევრს რასმე ნიშნავს.

პირში თითქო ამ ზღვის მწუთხე წყალი ჩაუდგაო გოგლოს.

მაგრამ სწორედ ამ დროს მის ცხვირ-წინ საშინლად გაიელვა და შემაზრზენი ტკრციალი მოიღო გრგვინვამ.

გოგლომ უნებურად ხელები თვალებზე მიიფარა და ცოტა წატორტმანდა.

მაგრამ ეს იყო დილით, ღრუბლიანზე.

ეხლა უკვე ღამდება.

გაწოლილა დამშვიდებული, ეხლა უკვე ჩაბნელებული გოლიათი და ვითომც აქ არაფერი.

მხოლოდ კიდეზე მოდენილ პაწია ზვირთებს მაინც უდგათ სული ამბოხებისა.

და დაძვრებიან, დასრიალებენ.

**შალვა დადიანი.**

(შემდეგი იქნება).

ზავენა, სადაც ჰკიცხავს ნატანს და ყველა მართლმორწმუნეთ. მოუწოდებს რომ შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიონ კათოლიკე ეკლესიის მტრებსა და ძალმომრეობის მომხრეთ.

ამაზე ნატანმა პასუხი გასცა პაპს და პირიქით მასვე აბრალებს, რომ ყალბსა და უაზრო ცრუმორწმუნოებას ავრცელებთ და უბრალოდ შურსა და ღვარძლსა სთესავთო. მე ვსთქვი ის, რაც ყოველ მოქალაქის მოვალეობად უნდა ჩაითვალოსო.

# რუსეთი

**◆ სენატორ მედემის რევიზია** გ. რ. ო. ლ. მედემის რევიზიამ ციმბირის გზაზე, აღმოაჩინა, რომ ციმბირში მოხელეებს დიდ ძალი ფული მოუპარავთ. დავთრებში ისეთი მუშების გვარებია ჩაწერილი, რომლებსაც იქ თავის დღეში არ უმუშავნიათ და იქნება არც კი არსებობენ. ასეთი წესი თურმე ათი წელიწადია სწარმოებს. ხაზინის ზარალი მილიონ მანეთს აღემატება

**◆ მღვდელი პოლიციელი.** სოფელ ნოვო-დალტავსკში მღვდელ კარანჩევს პოლიციელის მოვალეობა უკისრია და სამი ახალგაზრდა გლეხი დაუპატიმრებია, რომლებიც 230 ვერსის სიშორეზე ბოქაულთან გაუგზავნია. დაპატიმრებულთა ცოლები შეხვეწნიან მღვდელს გაენთავისუფლებინა მათი ქმრები, მაგრამ მას უპასუხია:

— ესენი—სტუდენტები—„პოლიტიკები“ არიან და ყველანი უნდა გავრეკოთო!

დაპატიმრების მიზეზი ისა ყოფილა, რომ ამ გლეხებს უნახავთ მასწავლებელი, რომელსაც მათთვის მიუცია. რამდენიმე წიგნი მეურნეობის შესახებ და რჩევა დარიგებაც მიუცია. დაპატიმრებულნი ნამდვილ პოლიციას მალე გაუნთავისუფლებია და ახლა ესენი მღვდელს 200 მანათს უჩივიან.

**◆ ფულის გაფლანგვა.** ატკარსკის ერობის კრებამ დაადგინა უჩივლის ბოქაულს პოლიაკოვს და ჩებიშევს. ამათ საერობო შემოსავლიდან 2,018 მან. გაუფლანგავთ. პოლიაკოვი და ჩებიშევი უკვე დააპატიმრეს, ხოლო ჩეშკო, რომელსაც 15,000 მან. გაუფლანგეს, დაიმალა.

**◆ სულით ავადმყოფი.** ნოვორჟევის მაზრაში გლეხმა გრიგორიევმა ცულით თავი მოსჭრა თავის ხუთი წლის ქალს, მარიას, მკვლელი ამ ნახევარი წლის წინად სულით ავადმყოფთა ახალშენიდან გამოსულა და თავისუფლად სცხოვრობდა თურმე.

**◆ ქალაქის თავად ნამყოფი მათხოვარი.** ამ დღეებში სად. „ვილნასთან“ ახლო მატარებელმა გადაუარა ერთ მათხოვარს და ფეხები მოაწყვიტა. შემდეგ გამოირკვა, რომ ეს მათხოვარა-გრუნდმანი წინად კიევის ქალაქის თავად ყოფილმა, მაგრამ, ბოლოს ძალზე გაღარიბებულა და 70 წლის მოხუცი იძულებული გამხდარა მათხოვრობით ერჩინა თავი.

**◆ მენშიკოვის მოგონებანი.** ლ. პ. მენშიკოვი (ივანოვი) ამ ჟამად შესდგომია სამსახურის დროის თავის მოგონებათა აღწერას. სხვათა შორის დაიბეჭდება ბევრი საიდუმლო საბუთები და წერილები დამცველ პოლიციის მოხელეებისა. ამის გარდა მენშიკოვი ამზადებს ყველა ჯაშუშ პროვოკატორთა და სხვა აგენტების სრულ სიას. სიაში თურმე 3,000 კაცი იქნება აღნიშნული.

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ამ ჩემ მცირე განმარტებას.

„სახალხო გაზეთის“ № 60-ში თიონეთიდან მოთავსებული იყო კორესპონდენცია, სადაც სხვათა შორის ნათქვამია, ვითომც ექ. თუმაჯანოვს სოფ. ხევსურთ-სოფელში ავადმყოფობა ხოლერად არ ეცნო და ამის გამო ის გავრცელებულიყოს. ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია.

გაჩნდა თუ არა საეჭვო ავადმყოფობა ს. ხევსურთ-სოფელში ექ. თუმაჯანოვიც წავიდა ამ ავადმყოფობის გამოსაკვლევად და გამოსაცნობად, მაგრამ საუბედუროდ, ავადმყოფს ცოცხალს ველარ მოასწრო. ჭირისუფლებს გამოჰკითხა, თუ როგორ ავადმყოფობდა, რა ნიშნები ჰქონდა და სხ., მაგრამ როგორც იცით ამნაირ შემთხვევებში, ჭირისუფლები ცდილობენ ექიმს გზა-კვალი აურიონ; აქაც აგრე მოხდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ექ. თუმაჯანოვმა მე მაცნობა იმდღესვე, რომ უეჭველად ხოლერით არის მომკვდარი გოჯიაშვილი და ამიტომ. მეც მეორე დღეს გავემგზავრე. ეს იყო 8 მკათათვეს; 9-ში ავად არავინ გამხდარა, ხოლო 10-ში გოჯიაშვილის ორი ბავშვი გამხდარა ავად და მეც მათი განავალი თბილისში გავგზავნე გამოსაკვლევად. გამოკვლევამ აღმოაჩინა ხოლერის ვიბრიონები.

მას შემდეგ მეცა და ექ. თუმაჯანოვი ერთად ვმუშაობდით და მიუხედავად ცუდი პირობებისა, ერთ თვეზე მოისპო ეს საშინელი სენი.

პატივისცემით **ექ. ბერეჟიანი.**

---

ბოდბისხევის წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს იმ პირთ, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს 16 აგვისტოს გამართულ წარმოდგენაში. მადლობას ვუძღვნით აგრეთვე სოფიო სიმონოვს და მასწავლებელს ივ. ხმალაძეს, პირველმა შემოსწირა 3 მან. ღირებული წიგნები, ხოლო მეორემ—მწერლების სურათები.

ზემოხსენებულ წარმოდგენიდან წმინდა შემოსავალი დარჩა 48 მან. 63 კაპ.

სამკითხველოს გამგე **რ. მჭედლიშვილი.**

---

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ინჟინერ ტეხნოლოგ ლეონ იაგორისძე მელიქ-ნუბაროვს, რომელმაც ჩემდა რწმუნებულ სკოლას ოცდა ხუთი მანეთი შემოსწირა.

ქვემო მაჩხაანის სახალხო სკოლის მასწავლებელი **ილ. მენთეშაშვილი.**

---

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ საზოგადოებას საყურადღებოდ თქვენ პატივცემულ გაზეთში დამისტამბოთ შემდეგი წერილი.

ამ უკანასკნელ დროს გამრავლდნენ ისეთი პირები, რომელნიც თავიანთის მოქმედებით და მტაცებლობით მთელს საზოგადოებას ატყუებენ. ვინ წარმოიდგენდა წინად, თუ ფულის შოვნის გულისათვის კაცებს მოიტაცებდნენ და შემდეგ მუქარით დასახსნელ ფულს მოითხოვდნენ! მაგრამ ახლა ასეთი ავაზაკობას გასაოცარ ამბად აღარავინ არა სთვლის. გასაოცარი ის არის რომ ახლა შორეულ ქვეყნიდგანაც დაიწყეს მოსვლა ბოროტ განზრახველებმა და აქ ჩვენში თარეშობენ.

ამ გვარ ბოროტ-გამზრახველის მსხვერპლი გავხდი ამ სტრიქონების დამწერი ამა წლის 2—6 ენკენისთვეს.

არ ვმალავ ამ ამბავს, ამიტომ რომ იქნება სხვა მაინც გაფთხილდეს.

30 მარიამობისთვეს დ. ყვირილას, ჩემთან მოვიდა ერთი უბრალოდ, ღარიბულად ჩაცმული ბერძენი, რომელიც თავის თავს საათათრეთის ქვეშევრდომ მუშას უწოდებდა. შემომჩივლა თავისი გაჭირვება და სამუშაოცა მოსთხოვა. შემდეგ მაუწყა, რომ ჭიათურაში მუშაობის დროს მე და ჩემმა ამხანაგმა ერთი გორაკის გათხრის დროს ვიპოვეთ ერთი დიდი ქვევრი სხვა და სხვა ძველის ნაშთებით სავსეო. ეს ამბავი საიდუმლოდ გამიცხადა და მთხოვა, მათ მიერ ნაპოვნი ძველი ოქროული მე შემესყიდა. მე ეჭვის თვალით შევხედე და დიდი უარიც ვუთხარი. ბერძენმა მუშამ იწყინა და თავი ისე მაჩვენა რომ იმაზე წმინდა კაცი მეორე აღარ გეგონებოდათ.

მრავალჯერ განმეორებისა და ხვეწნა მუდარის შემდეგ დამითანხმა მენახა ეს ნივთები და თუ მომეწონებოდა, მეყიდნა. კიდეც თანაც ამ საქმის გათავებას საჩქაროდ ითხოვდა, რადგანაც ჩემი ამხანაგი სამშობლოში წასვლას ეჩქარებაო.

მეც დავენდე მის სიტყვას, მით უმეტეს რომ ესევე ბერძენი გამირიგდა ერთი თვით მუშაობას, როგორც კალატოზი. ორს ენკენისთვეს დავიბარე ეს კაცი შუადღის დროს და ფულიც სულ სხვა დანიშნულებისათვის განზრახული, მოვამზადე სახლში, რადგანაც ძველი ნაშთების შეძენა ყოველთვის დუდად სასურველ რამედ მქონდა მიჩნეული. დანიშნულ დროს ბერძნები აღარ მოვიდნენ და აღარც მოველოდი მათ. მაგრამ საღამოს 8 საათზე იმ დროს, როდესაც დიდი წვიმა იყო და ჭექა-ქუხილიც, მოვიდნენ ჩემთან, ერთი მათგანი ოთახში შემოვიდა და, მეორე-კი, ვითომ ნივთების საჩვენებლად მოსული, არ შემოდიოდა, ვითომდა ეშინოდა რომ ნივთები არ წაგვერთმია. ბოლოს, როგორც იქნა, მეორეც შემოვიდა, მაგრამ პირველის თხოვნაზედ, მაინც არ იღებდა ნივთებს საჩვენებლად, თუ ფულს არ დაინახავდა. შემდეგ, როდესაც დასარწმუნებლად დავანახვე ფული—უცებ პირველმა გამომგლიჯა ხელიდგან ეს ფული და ორივე მსწრაფლად გავარდნენ გარედ, ბნელ ღამეში. სახლში შემთხვევით სხვა კაცი არავინ არ იყო, თვითონ მე გავეკიდე დიდი გზისაკენ, მაგრამ ცამ ჩაყლაპა, თუ ქვეყანამ მათი ასავალ-დასავალი ველარ გავიგე თუმცა პოლიციას მაშინვე განვუცხადე, და ზომებიც მიიღეს მაგრამ ჯერ-ჯერობით მათის გვალისათვის ვერ მიუგნია.

როგორც გამოირკვა, ეს კაცები სხვებთანაც ყოფილან, სოფლად, ამნაირისავე განზრახვით, მაგრამ ვერ გაუბედნიათ ამნაირი მტაცებლობა, რადგანაც, როგორცა სჩანს, არ ემარჯვებოდათ თავის დამალვა ისე ადვილად, როგორც ეს მოსახერხებელია ჩვენს დაბაში, სადაც მოსახლეობა ხშირია და გზებიც მრავალი თავის დასამალავად და აქვე რკინის გზაც მსწრაფლ-გასაქცევად.

ტყვილად არ არის ნათქვამი „ძველი გარედგან არის კაცი კი შიგნიდანაო! სხვები მაინც გაფთხილდნენ.

დეკანოზი **დ. ლიმბაშიძე.**


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (5.—181

---

**გამოცდილი** საპნის მკეთებელი ბევრი წლის წინად გიმუშავე თაიროვისა, ალიხანოვისა, და ტოლლეს აქ. საზოგადოებაში — ტფილისში. ვეძებ ადგილს ან ამხანაგს ქარხნის გასახსნელად. კარგათ ვამზადებ ყველა პირველ ხარისხის საპონს, ვაკეთებ იაფ-ფასიან ზეთის ნარჩენიდან, ნარევიდან, და აგრეთვე ყველა მეორე ხარისხის საპონს, საპირფარეშო საპონს.

ადრესი: ქ, ტფილისი ნ ს. ლიანეცის მოკითხვამდის. (Довостребованія) (5—62—1)

---

**გამოვიდა და იყიდება ქ. შ. წ.-კით. გამ. საზოგადოებისა და სხ.**

◆ **წიგნის მაღაზიებში** ◆

## დუტუ მეგრელის

ნაწერები

I წიგნი ლექსები . . 70 კაპ.

II წიგნი მოთხრობები . 70 კაპ.

ხელის-მომწერლებმა, რომელთაც ხელი მოაწერეს გაზეთ „დროების“ რედაქციაში, და მეორე წიგნი ჯერ არ მიუღიათ, უნდა მიმართონ დასახელებულ წიგნის მაღაზიაში ბ. ივანე ავალიშვილს, ან პირადად ან ფოსტით ღია ბარათით ამ ადრესით: Тифлисъ. Дворцовая, домъ Дворянства, книжный магазинъ общества грамотности, И. Авалишвили. (10—დ-მ.—3)

---

## დოქტ. ნავასარდიანისა

უფრო დღე, კვირების გარდა დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ჟ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს, ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**სქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაკი:** [illegible] საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. გ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

---

## მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმისკენ: | N 1, სწრ.—საღ. | 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. 31 წ. |
| ბაქოსკენ: | N 2, სწრაფ.—დილ. | 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. 38 წ. |
| ყორჯომისკენ: | სამგზ.—დილ. | 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. 36 წ. |
| ჯულფისკენ: | საფოსტო—ღამ. | 12 ს. 22 წ. |
| ერევნისკენ: | სამგზავრო—დღ. | 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმიდან: | N 2, სწრ.—დილ. | 7 ს. 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. 4 წ. |
| ბაქოდან: | N 1, სწრფ.—საღამ. | 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. | 12 ს. 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. 58 წ. |
| ბორჯომიდან: | სამგზ.—დილ. | 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. 08 წ. |
| ჯულფიდან: | საფოსტ.—დილ. | 6 ს. 8 წ. |
| ერევნიდან: | სამგზავ.—დღის. | 6 ს. 33 წ. |

---

◀ **სამეურნეო ჟურნალი** ▶

## მოსავალი

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

---

საყმაწვილო და სურათებიანი ჟურნალი

## „ნაკადული“

(წელიწალი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელი-მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი» —ზღაპარი მვალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი მვალდისა; 3. „თორმეტი“—და ზღაპარი მვალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად —შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურო ქარვლაში).

---

## კატალოგი

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის. № 3.**

I

სასულიერო შინაარსის წიგნები.

1. იოსელიანი გ. საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, სურათებით, ტფ. 1909 წ. 40 კ.
2. მისივე ლოცვანი ტფ. 1910 წ. 20 „
3. ძველი ათქმა, ხუთი წიგნი მოსესი ტფ. 1900 წ. . . . . 50 „
4. ფსალ უნი. ტფ. 1901 წ. . . 10 „
5. ახალი ათქმა. სახარება. საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფ. 1879 წ. . 40 „
6. სახარება.

II

მოთხრობები, ლექსები, პიესები.

7. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული. ტფ. 1908 წ. . . 40 „
8. ანდრეევი ლ. ადამიანის ცხოვრება. ტფ. 1907 წ. . . . 50 „
9. ბარათაშვილი ნ. ლექსები, „სორაპნის“ გამოცემა. ტფ. 1910 წ. 10 „
10. გვარამაძე ივ. თამრო ჭარამხანაშია. გურიის ცხოვრებიდან. ახალციხ. 1906 წ. . . . . . 20 „
11. გლახაშვილი ს. წყურვილი. დრამა 3 მოქ. 4 სურ. ტფ. 1910 წ. 30 „
12. გიგაური. ლექსები. ქუთ. 1908 წ. 20 „
13. გიოტე, ფაუსტი. დრამატ. პოემა. ნათ. პ. მირიანიშვილისა. ტფ. 1909 წ. . . . . 1 მ. 25 „
14. დუტუ-მეგრელი. წიგნი I ლექსები. ტფ. 1909 წ. . . . . 70 „
15. ერისთავი გ. გაყრა, 4 მოქ. კომედია. გამოც. „სორაპნისა“. . 5 „
16. ვაჟაფშაველა. ცრემლები. 1909 წ. 50 „
17. ზღაპრები II, ქალთა წრის გამოცემა. . . . . . 1 მ. 30 „
18. თუთაევი ალ. ქართული პიესები ტფ. 1909 წ. . . . . . 20 „
19. იერეთელი ჰ. დამარცხებულნი. დრამა 5 მ. ტფ. 1908 წ. . . 30 „
20. მისივე ქრისტინე, დრ. 5 მოქმ. ტფ. 1909 წ. . . . . . 20 „
21. Избранныя стихотворенія А. Церетели, съ предисловіемъ А. Хаханова, Моск, 1908 г. . . , 20
22. მოლიერი. დრამატ. თხზულებანი. გამ. „სორაპნ-სა“. ტფ. 1909 წ. 50 „
23. ნიშად. კრებული. ტფ. 1909 წ. 15 „
24. ნავთლუღელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი. ლექსები. ტფ. 1908 წ. . . . . . . . . 3 „
25. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. ტფ. 1909 წ. . . . . . 5 „
26. მისივე ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტფ. 1909 წ. . . . . . 20 „
27. მისივე გოგია უიშვილი. ტფ. 1909 წ. . . . . . . . 5 „

---

## ცხოველების გამჭრიახობა

**პატარა ბავშვების პირველი საკითხავი დასურათებული წიგნი.**

ფასი 25 კაპ.

იყიდება „ჯეჯილის“ რედაქციაში: არტილერიის ქუჩა № 5, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ვინც ათზე მეტ წიგნს იყიდის, მათ დაეთმობათ 20 კ. (10—58—1)

---

## დაბა ხონში

**ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილების**

## წიგნის მაღაზიაში

იყიდება ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები, ახალი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და საკანცელარიო ნივთები. მაღაზია საკომისიოდ ღებულობს წიგნებს და კისრულობს გამომცემელთა ამხანაგობას.

მაღაზიას უკვე დაკვეთილი აქვს სამოსწავლო წლისათვის საჭირო წიგნები და რვეულები და ამ მხრივ ადვილად შეუძლია ხონის რაიონის დაკმაყოფილება.

---

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## კომერციულ ცოდნათა კურსები

**ტ. მ. ფილოიანისა,**

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4).

**სპეციალური კომერციული განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.**

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებლებში (ლონდონში) და პიგიერის მუსტერ-ლომტოარში (პარიზში). მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ. 1. ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, საველქსილო წესდება). 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა (ხელის გასწორება). ბ) არა სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2. ტენოგრაფია. 3. დაკტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე ინდივიდუალურად.

**კურსების ლექტორები არიან სპეციალისტები უმაღლეს განათლებით.**

თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. სწავლა იწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან,

კურსების დირექტორი **ტ. ფილოიანი.**

---




მ ო ი თ ხ ო ვ ე თ

## სწორე და მკვიდრი საათები

**ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.**

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი სახურავით «ს ე ც ს ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უვასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სიკარგის ნიშნით“. ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

| ПАРИЖЪ 7 PARIS | S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis. |
|---|---|

უფასოდ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამშის ბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

(Моцль N 53647). (25—15—1)

---

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო

◆ ჟ უ რ ნ ა ლ ◆

## „განათლება“-ზე

(წელიწადი მესამე)

ჟურნალი გამოდის წელიწადში ათ წიგნად. შვიდი ნომერი უკვე გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს. ამ ჟამად იბეჭდება ღვინობისთვის ნომერი. ჟურნალი წლიურად ღირს **სამი მანეთი,** სოფლის მასწავლებელთათვის **2 მანეთი.** ხელის მოწერა მიიღება ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ი. ავალიშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში. ტფილისს გარეთ საკუთარ აგენტებთან.

**მისამართი:** Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

(2—ე.—2) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

---

## ვემენთ საამხანაგოთ

◆ **მებაღე-მებოსტნეს და მეძროხეს** ◆

ტფილისის ახლო კარგად მოწყობილი დიდ მამულში, სადაც გვაქვს გაშენებული ხეხილის **ბაღი, ბევრი თივა და საბალახოები,** გვყავს საწველი **ძროხები,** და ყოველ დროს კარგი **გასავალი** არის. საამხანაგოებს უნდა ჰქონდეთ ცოტა ფული არ მოწველე ძროხები. იკითხავთ ადრესს რედაქციაში. (63 3—1)

---

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუხჰალტრო კურსები

## ნ. ვ. აბრამიანისა.

ავტორი „ვაჭრობ. ფაბრ. და ნავთის წარ. ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სასწავლო კომიტეტის მიერ., როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,

◆ **ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ.** ◆

უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხი თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუხჰალტერიას და სავაჭრო სპეციალურ საგნებს. გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს (სავალდებულო არაა).

**კურსების მასწავლებლად უმაღლეს სასწავლებელში კურს-დამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.**

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს 1910 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნასადილევს თხოვნები მიიღება ყოველ დღე საღამოს 3—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით.

ამას გარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის.

წესდება და პროგრამები იგზავნება მსურველთა უფასოდ. ცნობებისთვის უნდა მიმართოთ წერილობით თუ პირადად კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, № 22, ტელეფონი 714.

ზემოდ დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—ღ——18)

---



## დაამშვენეთ

გამოწერა ორი წყვილი

◀ **შევროს, ვეშზის ან ბოქსოს ტყავის** ▶

ფეხსაცმელისა ხელოვნური რანტით. განურჩევლად ქალისა თუ კაცისთვის

**სულ 6 მ. 50 კაპ. სრული თავმდებობა სიმკვიდრისა და ლაზათისა.**

საქმის კარგად შესრულების გამო ბევრი სამადლობელი წერილი მივიღეთ ბ.ბ. დამკვეთავებისაგან.—რომ ჩვენი წარმოების ფეხსაცმელები გავრცელდეს ფასი ქარხნის ფასებზე ნაკლები დავნიშნეთ. ჩვენი მიზანია—მოვიპოვოთ დიდი კონტინგენტი მუდმივ დამკვეთავებისა, ვინაიდან კარგი და მკვიდრი ფეხსაცმელი ამ ფასად სასარგებლოა ყველასათვის. ჩვენი ფეხსაცმელი უკანასკნელი მოდისაა ინგლისის, ან ამერიკულ ფასონისა,—ყაითნებით, ღილაქებით და რეზინით.—ზის ან მექანიკურ შპილკებით—ქალების ფეხსაცმელები მზადდება ფრანგული ახალი ქუსლებით—დაწერილებით გაცნობთ იმიტომ, რომ შეგვიძლიათ სახელოვანი ფეხსაცმელის შორიდან შეკვეთა.—ვგზავნით დაკვეთისთანავე ფას დადებით და უბეოდ. აუცილებლად გვაცნობეთ ნამდვილი ნომერი ფეხსაცმელისა ან კალოშისა ან და ზომა ვერშოკებით. ფოსტის ხარჯი დამკვეთისაა თუ ფეხსაცმელი არ მოგეწონათ გამოგვიგზავნით სხვას ან და ფულს დაუყოვნებლივ დაგიბრუნებთ. ამიტომ არავითარი შიში არ არის. ციმბირისა და აზიის დამკვეთებმა ბე უნდა გამოგვიგზავნონ.

ადრესი: Товариществу Джонъ Карло и К-о, Варшава, центральная почта, ящ. № 47—6. წერილები რუსულ ან გერმანულ ენაზე. (2—8—2)

(Метцль и К. N 55664)

[illegible]